საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 7 22 00037502

21/11/2022

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგ გარემოებათა გამო:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია ჰქონდეს საკუთარი ხარისხის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო სტანდარტების და მათში განხორციელებული ცვლილებების სამოქმედოდ შემოღების ფუნქცია აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. თუმცა, ამავე კანონის მიხედვით, აუდიტორული ფირმები უფლებამოსილნი არიან სამსახურის მიერ სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებამდე გამოიყენონ ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია. საერთაშორისო სტანდარტის ახალი რედაქცია (ISQM) უკვე ცნობილია აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი პირებისათვის, ეტაპობრივად მიმდინარეობს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე გადასვლა და მისი დანერგვა. აღნიშნული სტანდარტი მსოფლიო მასშტაბით ამოქმედდება 2022 წლის 15 დეკემბრიდან. შესაბამისად, სავალდებულოა სტანდარტთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ცვლილებები „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს ამავე თარიღიდან. ამასთან, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამსახურისათვის ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის პროცესები გაჩერებულია და სახელმწიფოს ერთმევა შესაძლებლობა შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. ამდენად, სახელმწიფოს ეზღუდება სამსახურისადმი ანგარიშვალდებულ პირებზე ზედამხედველობის

საშუალება - რეესტრის წარმოების, მონიტორინგის და დაქვემდებარებულ პირთათვის განგრძობითი განათლების უზრუნველყოფის მეშვეობით. თითოეული ფუნქციის დაყოვნება აფერხებს და რისკს უქმნის შესაძლო დანაშაულების ეფექტურ პრევენციას.

აღნიშნული საკითხების გადაჭრა წარმოადგენს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის -Moneyval-ის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის - FATF-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობის მიღწევისკენ და ევროკავშირში წევრობის განაცხადზე ევროკომისიის მოხსენებითი ბარათით გათვალისწინებული 12 პუნქტიდან ერთ-ერთი პუნქტის შესრულებისკენ (ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება) გადადგმულ ფუნდამენტურ ნაბიჯს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ვახტანგ ბაჩიაშვილი